

საქართველოს სსრ.



საგზ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საგზოს და ეკონომიური საგზოს
სამმეთა მმართველობის გამომცემა

1935 წ. დეკემბრის 25.

№ 32

ს ვ ი ლ ი ს ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამხედრო საქმე.

202. ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელ-პარტიზანთა სრულიად საქართველოს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა.

203. დასავლეთ საქართველოში 1936 წელს სიპინდის მოსავლიანობის გადიდების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი.

204. საქართველოს სსრ გზატკეცილების, ყანაირგებებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალ-

ხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

205. ავტომანქანების აგარიებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

სახამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

206. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

207. იმ დოკუმენტების ნუსხის „ა“ კარის 31 პუნქტის შეცვლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

სამხედრო საქმე

202. დადგენილება ც.ა.კ.

912.1

ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა სრულიად საქართველოს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნას ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა სრულიად საქართველოს საზოგადოება ყველა მისი ადგილობრივი განყოფილებით.

2. დაეკისროს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოებს გაუწიონ დახმარება იმ ყოფილ წითელგვარდიელებსა და წითელ პარტიზანებს და მათ ოჯახებს, რომლებიც ნამდვილად საქიროებენ ასეთ დახმარებას.

შენიშვნა. ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთათვის კანონით დაწესებული შეღავათები ძალაში რჩება.

3. ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა სრულიად საქართველოს საზოგადოების ქონება, რომელსაც უშუალოდ განაგებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო, გადაეცეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს (60%) და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამკურნალო კომისიას (40%), ხოლო საზოგადოების ქონება, რომელიც იმყოფება საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში (ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქში, რაიონებში და ქალაქებში), გადაეცეს სათანადო ადგილობრივ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს და სამკურნალო კომისიებს (იმავე შეფარდებით).

4. საზოგადოების ლიკვიდაციისათვის და მისი ქონების გადასაცემად დაარსებულ იქნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვაშაკიძე (თავმჯდომარე), ნიორაძე, კუხალაიშვილი, კვირიკაძე, ბახტაძე, ფრანგულიანი და ელიავა.

5. დაევალოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დაამუშაოს ღონისძიებანი ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა რიგების შემოწმებისათვის და შედეგი მოახსენოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. უღვინტი.

1935 წ. ნოემბრის 16. № 95.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 270 №-ში 1935 წ. ნოემბრის 22.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

203. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

დასავლეთ საქართველოში 1936 წელს სიმინდის მოხაველიანობის გადიდების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ დასავლეთი საქართვე-

ლოს პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს დაუყოვნებლივ გა-
შაღონ მუშაობა 1936 წლის გაზაფხულის თესვისათვის მოსამზადებლად, დაუ-
დგან რა საფუძვლად სიმინდის საგაზაფხულო თესვის გეგმას შემდეგი ღონის-
ძიებანი:

ნ ი ა დ ა გ ი ს გ ა ნ მ ზ ა დ ე ბ ა .

1. დასავლეთი საქართველოს რაიონებში ფართო საწარმოო ცდის განსა-
ხორციელებლად ჩატარებულ იქნას კოლექტიურ მეურნეობებში 1935 წლის შე-
მოდგომაზე სიმინდის თესვისათვის დანიშნული მიწების 10.820 ჰექტარ ფარ-
თობზე მძრალად ხვნა.

მძრალად ხვნა ჩატარებულ იქნას იმ ნაკვეთებზე, რომლებიც დატულია
დაუღებებისა და ხნულის წალეკისაგან; ამისთანავე, ხვნა უნდა დამთავრდეს არა
უგვიანეს დეკემბრის 30-ისა. საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კო-
მისარიატმა მძრალად ხვნის დამთავრების ვადა უნდა დაადიფერენციოს ცალ-
კეულ რაიონებზე.

2. ჩატარებულ იქნას ზამთრის ხვნა 4.900 ჰექტარ ფართობზე, რაც უნდა
დამთავრდეს არა უგვიანეს იანვრის 30 ისა.

მთლად დანარჩენ ფართობზე, რაც დანიშნულია სიმინდის დასათესად, ჩა-
ტარებულ იქნას ადრეული საგაზაფხულო ხვნა. ადრეული საგაზაფხულო ხვნა
ყველგან უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს მარტის 30-ისა.

3. ძირითადი ხვნის სიღრმე სიმინდისათვის განისაზღვროს:

ქვიშნარ ნიადაგზე	11—12 სმ.
ნაცრიან " 	12—13 "
თიხნარ " 	14—15 "

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის მიწათ-
მოქმედების სახალხო კომისარიატებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტე-
ტებს—დაადიფერენციონ ხვნის სიღრმე ცალკეულ ზონებსა და ნაკვეთებზე, მხედ-
ველობაში ნიადაგის სხვაობის მიღებით.

4. დაველოს სარაიონო პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორ-
განოებს—დაიცვან ოთხფეხი საქონლის მიერ გათელვისაგან შემოდგომაზე და
ზამთარში მოხნული ნაკვეთები.

5. თესვის წინ ნიადაგის განმზადება (გადახვნა, აოშვა, ფარცხვა) ჩატა-
რებულ იქნას 8-10 დღით ადრე თესვამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნია-
დაგის სრული დამუშავება, ბრძოლა სარეველასთან და ხნულის გასწორება.

6. მიენდოს საქართველოს სსრ-ისა, აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტა-
ნის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და სარაიონო აღმა-
სრულებელ კომიტეტებს—შეცვაღონ 1936 წლის გაზაფხულისათვის დასავლეთი
საქართველოს ყველა რაიონში კავი გუთნით. საქართველოს სსრ მიწათმოქმედ-
ების სახალხო კომისარიატმა უნდა გამოარკვიოს ცალკეული რაიონების შესაფე-

რი გუთნის ტიპი და მარკა და უზრუნველყოს ამ გუთნების შემოზიდვა ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება კავის მთლად შეცვლისათვის.

მ ო ლ ა მ ე ა .

1. ჩატარებულ იქნას სახნავის მოლამევა წყლის მიწვებით არა ნაკლებ, ვიდრე 2.200 ჰექტარ ფართობზე ქუთაისის, სამტრედიის, ხონის, ვანის, ჯუღელისა და მარტვილის რაიონებში, და ლამის შეტანით არა ნაკლებ, ვიდრე 680 ჰექტარზე—ქუთაისის, სამტრედიის, ხონის, ვანის, ჯუღელის, ტყიბულის, აბაშის, მარტვილის, ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონებში.

2. მოლამევა, როგორც წყლის მიწვებით, ისე ლამის შეტანით, დამთავრებულ იქნას ყველგან ძირითად მოხვნამდე. ლამის შეტანის ნორმა ერთ ჰექტარზე განისაზღვროს არა ნაკლებ, ვიდრე 200 ტონის რაოდენობით. ლამი თანაბრად იქნას მიმოფანტული და ჩახნული ძირითადი მოხვნის დროს ხენისათვის განსაზღვრულ სიღრმეზე.

მ ო ტ კ ი ლ ე ბ ა და მ ო კ ი რ ვ ა .

1. ვინაიდან მოტკილვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ისეთ საშუალებას, რომელიც აუმაჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ მდგომარეობას და ამდიდრებს მას ნოყიერი ნივთიერებით ქუთაისის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს ტკილის შეტანა ისეთ ნიადაგში, რაც ჩაისათვის გამოუსადეგარია და დანიშნულია სიმინდის დასათესად, არა ნაკლებ, ვიდრე 650 ჰექტარ ფართობზე.

2. ტკილის შეტანის ნორმა ერთ ჰექტარზე განისაზღვროს არა ნაკლებ 100 ტონისა, ტკილის შეტანის ვადა განისაზღვროს თითოეული რაიონისათვის ისეთი ვარაუდით, რომ ძირითად მოხვნამდე ტკილი მთლად ჩაიშალოს. დაფხვნილი ტკილი განაწილებულ უნდა იქნას თანაბრად მინდორში და ჩაიხნას ძირითადი ხენის დროს ამა თუ იმ ნიადაგისათვის განსაზღვრულ სიღრმეზე.

3. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს იმ ფართობის ოდენობა, რაც უნდა მოიკიროს 1936 წელს, და დააწესოს რაიონებისათვის კირის შეტანის ნორმები, ვადები და მეთოდი. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად 1935 წ. ნოემბრის 1-მდე მოკვირვის ორგანიზაციის გეგმა.

ს ა თ ე ს ლ ე მ ა ს ა ლ ის შ ე რ ჩ ე ვ ა .

1. სათესი მასალის გაუმჯობესებისა და ადგილობრივი ჯიშებიდან ერთ-ტიპიანი სიმინდის მოსაზღვნიანი ჯიშის შექმნისათვის ჩატარებულ იქნას მოსავლის აღებისთანავე სათესი მასალის მასური შერჩევა, აპრობაცია და ტაროდ

შენახვა. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გამოარკვიოს ნოემბრის 25-მდე სიმინდის ტიპი მასური შერჩევისათვის ცალკეულ რაიონებსა და ზონებში; შერჩეული მასალის აპრობაცია ჩატარებულ იქნას დეკემბრის 20-მდე.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა განსაზღვროს რაიონებში ფართობის ოდენობა შერჩეული ერთტიპიანი მოსავლიანი ჯიშების დასათესად.

ჩრჩილისაგან სიმინდის დასაცავად ჩატარებულ იქნას აღრეულ გაზაფხულზე მარცვლის დაწამლვა.

2. ჩატარებულ იქნას სათესლე მასალის სავალდებულო თვისებითი შემოწმება სათესლე-საკონტროლო ლაბორატორიებში ყველა კოლექტიურ მეურნეობასა და არა ნაკლებ, ვიდრე 15% თესლისა—ერთპიროვნულ მეურნეობებში. ანალიზისათვის თესლის ნიმუშები შეირჩეს აგრონომების დახმარებით და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეთა თანდასწრებით; თანაც შედგენილ უნდა იქნას სათანადო აქტი. ის სიმინდის თესლი, რომლის ამოსვლაუნარიანობა 90%-ზე ნაკლებია, სულაც არ უნდა დაითესოს და აუცილებლად უნდა გაიცვალოს საკონდიციო თესლზე.

ამოსვლაუნარიანობით საკონდიციო, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ვარგისობით 100 პროცენტზე ნაკლები სათესი მასალის განთესვის ნორმა გადიდებულ იქნას სათანადოდ.

თესვის ვადები.

სიმინდის თესვის დამთავრების ვადად ყველგან დანიშნულ იქნას აპრილის 20, ონის და ამბროლაურის რაიონებისა, აჭარისტანის დაბლობი ნაწილისა (3.000 ჰექტარი), აფხაზეთის დაბლობი ნაწილისა (6.000 ჰექტარი), ადგილ ანჯელისა (აბაშის რაიონში—1.000 ჰექტ.) და ლანჩხუთის რაიონის (3.000 ჰექტ.) გამოკლებით, სადაც სიმინდის თესვა დამთავრებულ უნდა იქნას არა უგვიანეს მაისის 10-ისა.

განთესვის ნორმები.

სიმინდის განთესვის საშუალო ნორმა ერთ ჰექტარზე განისაზღვროს მწკრივად თესვისათვის—32 კილოგრამით და მიმობნევით თესვისათვის—40 კილოგრამით. აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა დაადიფერენციონ განთესვის ნორმები ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებზე, მხედველობაში ნიადაგის თვისებისა და სხვა პირობების მიხედვით. თესლი უნდა გაიცეს მარტოოდენ აწონით.

მწკრივად თესვა.

1. სიმინდის მწკრივად თესვა (სათესებით) განისაზღვროს კოლექტიური მეურნეობების მთელი სათესი ფართობის 30%-ის რაოდენობით.

2. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს —გამოარკვიოს რაიონებში ქონებული სათესების რაოდენობა და 1936 წ. გაზაფხულისათვის შემოსაზიდად საქირო სათესების რაოდენობა; თანაც სიმინდის მწკრივად თესვის გეგმა განსაზღვროს ისეთი ვარაუდით, რომ სათესები მაქსიმალურად იქნას დატვირთული. რაიონებში ქონებული სათესების რემონტი დამთავრებულ იქნას ყველგან არა უგვიანეს იანვრის 30-ისა.

თესლბრუნვა.

1936 წ. გაზაფხულიდან შემოღებულ იქნას თესლბრუნვა ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების 30 კოლექტიურ მეურნეობაში.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს ცალკეული რაიონებისათვის თესლბრუნვის ტიპური სქემები. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა დაამტკიცონ ცალკეული კოლექტიური მეურნეობებისათვის კონკრეტული თესლბრუნვა, მხედველობაში თითოეული კოლექტიური მეურნეობის ნიადაგის თვისებისა და სხვა პირობების მიღებით.

სადრენაჟო ქსელის მოწყობა.

დაბლობ ნაკვეთებზე წყალსარიინის უზრუნველსაყოფად მოეწყოს სადრენაჟო ქსელი სამტრედიის, ჯუღელის, აბაშის, სენაკის, ზუგდიდის, ხობის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ფოთის რაიონებში, აგრეთვე აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ში 10.870 ჰექტარ ფართობზე.

ამასთან ერთად წყლის დაგუბების თავიდან ასაცილებლად გაყვანილ იქნას სიმინდის ყველა დაბლობ ნათესში პრიმიტიული წყალსარიინი არხი.

სიდერაცია.

მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს 1936 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმაში 1937 წელს სიმინდის დასათესად დანიშნულ ნაკვეთებზე პარკოსანი კულტურების სიდერირებული ნათესები.

ნათესის მოვლა.

ჩატარებულ იქნას მთლად სიმინდის ნათესების ფართობზე (როგორც მართო სიმინდის ნათესისა, ისე სოიასთან და ლობიოსთან შერეული ნათესის) ორჯერ მაინც ხელით გათოხვნა შეთხელებით, ხოლო მწკრივად ნათესისა—ორი

კულტივაცია და შემდეგ ხელით გათოხვნა. პირველი გათოხვნა-კულტივაცია ჩატარებულ იქნას ჯეჯილის ამოსვლიდან 10-15 დღის შემდეგ, ხოლო მეორე— პირველი დამუშავებიდან 12-15 დღის შემდეგ. მესამე გათოხვნა ჩატარებულ იქნას სარეველიან და სარწყავ ნაკვეთებზე. სარწყავ ნაკვეთებზე ჩატარებულ იქნას პირველი სავეგეტაციო მორწყვა მეორე დამუშავებამდე, ხოლო მეორე მორწყვა— აყვავილების პერიოდში.

მოსავლიანობა.

განისაზღვროს სიმინდის შემდეგი საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე (ცენტნერობით):

1. ქუთაისის რაიონში	13,0	ც.
2. სამტრედიის "	14,0	"
3. ხონის "	14,0	"
4. ვანის "	16,0	"
5. ბაღდადის "	13,0	"
6. ჯუღელის "	13,0	"
7. ჩხარის "	11,0	"
8. ქიათურის "	9,5	"
9. ხორაგოულის "	10,0	"
10. ტყიბულის "	7,8	"
11. ონის "	13,0	"
12. ამბროლაურის "	14,0	"
13. ცაგერის "	10,5	"
14. აბაშის "	15,0	"
15. ცხაკაიას "	13,0	"
16. მარტვილის "	11,0	"
17. ზუგდიდის "	12,5	"
18. ხობის "	15,0	"
19. წალენჯიხის "	9,0	"
20. ჩხოროწყუს "	10,0	"
21. მახარაძის "	13,0	"
22. ლანჩხუთის "	17,5	"
23. ჩოხატაურის "	9,0	"
24. ფოთის "	15,0	"
25. აფხაზეთში	12,5	"
26. აჭარისტანში	11,0	"

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარისტანის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საოლქო და სარაიონო პარტიულ კომიტეტებს



და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დადიფერენციონ დადგენილი სა-
შუალო მოსავლიანობა ცალკეულ რაიონებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და
სასოფლო საბჭოებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ბაქრაძე.

1935 წ. ოქტომბრის 28. № 1480-ა/.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 275 №-ში 1935 წ. ნოემბრის 28.

ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი

კვ. 194-194

204. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანს-
პორტის სამმართველოს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
სამმართველოს (საქ. სსრ-ში) გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

„სსრ/კავშირის გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანს-
პორტის ცენტრალური სამმართველოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალ-
ხო კომისარიატში გადაცემის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრა-
ლური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ.
ოქტომბრის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ.
1935 წ. 56 №-ი, მუხ. 452), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ გზატკეცილების ყამირგზებისა და საავტომობილო
ტრანსპორტის სამმართველო—მისი ადგილობრივი ორგანოებით საქართველოს
სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიურ რესპუბლიკებში, შავი ზღვის გზის
სამშენებლო სამმართველოთი და ყველა სახალხო ორგანოთი, დამხმარე საწარმოთი
და სასწავლებლით—გადაიცეს ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-
ტის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) გამგებლობაში.

2. აღნიშნული გადაცემა ჩატარებულ იქნას იმ ვადაზე და იმ წესით, რაც
გათვალისწინებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
სათანადო ინსტრუქციით და ამავე ინსტრუქციაში გათვალისწინებული შედეგ-
ნილობის სპეციალური კომისიის მეშვეობით.

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
სამართლებრივი
სამსახური

3. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეიტანოს საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამოკდინარე ცვლილებანი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1936 წ. ნომბრის 26. № 96/1594-ა.

ტფილისი.

გაძოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტს“ 279 №-ში 1935 წ. დეკემბრის 3.

205. დადგენილება ს.კ.ს.

აგტომანქანების ავარიებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

157/11
212.4

აგტომანქანების ავარიებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველყოს—აგტომანქანების ავარიებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემულ პირთა ბრალდების საქმეების რიგს გარეშე გამოკვლევა და განხილვა;

ბ) დააწესოს, რომ აგტომანქანების ავარიებთან დაკავშირებული, უფრო დამახასიათებელი საქმეები განხილულ იქნას საჩვენებელი პროცესის წესით, თანაც მოპურობილ იქნეს ამ საქმეებისათვის შოფერთა მასების ყურადღება;

გ) უზრუნველყოს სასამართლო რეპრესიების შეფარდება ავარიის შედეგის ხასიათის შესაბამისად;

დ) დააწესოს, რომ როდესაც ავარია მანქანის უწყესიერობის შედეგია, პასუხისგებაში მიცემულ იქნას არა მარტო მანქანის მძღოლი, არამედ აგრეთვე ორგანიზაციის ხელმძღვანელი და სხვა პირი, რომელიც უწყესიერო მანქანას საქსპლოატაციოდ უშვებს;

ე) შეამოწმოს, რა მდგომარეობაშია აგტომანქანების ავარიებთან დაკავშირებული საქმეები, რაც სწარმოებს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებთან რესპუბლიკაში, და შემოწმების შედეგი მოახსენოს სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 15-ისა.

2. მიენდოს საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—გააძლიეროს პროფესიონალური მუშაობა შოფერთა შორის.

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური გაზეთების რედაქციებს მობილიზებულყონ მოსახლეობის ყურადღება და გულხმვიერება ავარიებთან და ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევასთან ბრძოლის სფეროში.



4. წინადადება მიეცეს რადიომაუწყებლობის კომიტეტს—მოაგონოს დიდი დილობით რადიოთი შოფერებს ყველა გარაჟში მანქანების განმზადება გამოსასვლელად, რისთვისაც დავალოს იმ გარაჟების მფლობელთ, სადაც რეპროდუქტორები არ არის, დადგან ეს რეპროდუქტორები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ნოემბრის 28. № 1614.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 278 №-ში 1935 წ. დეკემბრის 2.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

206. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს ხანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

ხაქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დამატოს „ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს ხანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 268; 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35; 1934 წ. მე-14 №-ი, მუხ. 138; 25 №-ი, მუხ. 199; 33 №-ი, მუხ. 254; 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 321), 35 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე 16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად:...].

„35) იმ დოკუმენტებს, რომლებითაც მტკიცდება, რომ უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებული და სავალდებულო სამსახურისაგან თავარიდებული ახალგაზრდა სპეციალისტები დავალიანებულ არიან დახმარებით, რაც მიეცათ მათ სასწავლებლების მიერ თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილებისა „უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების და მუშუაკების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფისა და უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების კურსდამთავრებული პირების სამუშაოზე გაგზავნის

შესახებ“) სსრკ კან. კრ. 1930 წ. 47 №-ი, მუხ. 488), — უკეთეს თანავე წარდგენილია: ა) ცნობა სტუდენტის მიერ სასწავლებლის დამთავრების შესახებ, ბ) ცნობა სასწავლებლის კურსდამთავრებული მოვალის საწარმოში თუ დაწესებულებაში სამუშაოდ გაგზავნის შესახებ, გ) ცნობა გაცემული თანხის რაოდენობის შესახებ და დ) ასლი მოვალისათვის გაგზავნილი მოთხოვნისა მისთვის მიცემული დახმარების დაბრუნების შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუწკევიჩი.

1935 წ. ნოემბრის 10. № 1554.

ტფილისი.

207. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის „ა“ კარის 31 პუნქტის შეცვლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 115), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა“ კარის 31 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 138), მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად:....].

„31) სანახაობათა საწარმოს ბუხვალტერის მიერ გაცემულ ნუსხას საავტორო ჰონორარზე ნაწარმოებთა საჯაროდ შესრულებისათვის და სანახაობათა საწარმოს მიერ სსრ კავშირის სალიტერატურო ფონდში გადასარიცხ გამოსაღებზე“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ნოემბრის 25. № 1590.

ტფილისი.

შესწორება

კან. კრ. №	გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
30	538	3—4	აფეთქება-საშიშ საამქროს წარ- მოებაში	საწარმოს აფეთ- ქება-საშიშ სა- ამქროში

ფახი 20 კაბ.

გამომცემელი	საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმ. მმართველობა	1935 წ. № 63. პ/მ. რედაქტორი მ. გამრჯეილი
ქალაქის ფორმატი	62×94 სანტ.;	3/4 ბეჭდვ. ფურც.; 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას	5 XII;	ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII; ტირაჟი 1.800.
მთავლ. რწმ. № 87021.	საქ. სსრ საბკომსაბჭოს სტამბა.	შეკვ. № 1635